თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

# P.S.

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

2015 წლის ჰოროსკოპი

## როგორი იქნება ლურჯი თხის წელიწადი ზოდიაქოს ნიშნებისთვის

იხილეთ მე-7 გვერდზე



№39 (727) 29 დეკემბერი - 4 იანვარი, 2014-2015 გამოდის 1995 წლიდან ფასი: 70 თეთრი

PSnews.ge

ეწვიეთ გაზეთ „P.S.“-ის განახლებულ საინფორმაციო ინტერნეტპორტალს www.psnews.ge-ს, ყოველდღიურად იკითხეთ ცხელ-ცხელი ამბები და იყავით ინფორმირებული!

# გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!





## 2014 — მშვიდი და უშედეგო, 2015 — ?

იხილეთ მე-2 გვერდზე

## „სამი-ზნე“ — გემოვნებიანი მსმენელის სამიზნე

იხილეთ მე-3 გვერდზე



## როგორ გავალამაზოთ საახალწლო სუფრა

იხილეთ მე-3 გვერდზე

PSnews.ge

ISSN 1987-7056

ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს თქვენთვის ახალი, 2015 წელი!

# 2014 — მშვიდი და უშედეგო, 2015 — ?

**2014 წელიც დასრულდა. ყველა უწყება თუ ორგანიზაცია მუშაობას აჯამებს. გაზეთი „P.S.“-იც შეეცადა, განვლილი წელი შეეჯამებინა და ერთ სტატიად მოემზადებინა. ვინაიდან ჩვენი საქმიანობა ქალაქის და რეგიონის აქტივობებზეა დამოკიდებული, გასულ ნომრებში ჩვენს მიერ ასახულ ქუთაისის ცხოვრებას გადავავლეთ თვალი და აღმოჩნდა, აწ უკვე გასული წელი არც პოლიტიკური და არც საზოგადოებრივი აქტიურობით არ გამოირჩეოდა.**
**„მეტნაკლებად მშვიდი და უშედეგო“ – ასე შეიძლება შეფასდეს 2014 წელი.**



მიმდინარე წელსაც აქციები და კონტრ-აქციები, შეძახილები და შეხსენებები იყო აქტიური.

პირველი მოულოდნელობა, რის წინაშეც ქალაქი დადგა, „პატრიოტი“ თამაზ მარგველაშვილის გადაწყვეტილება იყო, იმპიჩმენტდამუქრებულმა საკრებულოს თავმჯდომარემ, მოასწრო და თვითმმართველობის დატოვებამდე ქალაქის მერს დაატოვებინა პოსტი, რის მიზეზადაც შოთა მურღულიას საკრებულოსთან ნაკლებ თანამშრომობა დაასახელა.

მურღულიას გადაყენება მისმა მომხრეებმა და თანაგუნდელებმა მერიასთან გამართული აქციით გააპროტესტეს. საკრებულოს თავმჯდომარეს კი კარი აუჯედეს.

შოთა მურღულია პოსტს დაუბრუნდა და ივნისში გამართული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში პირდაპირი წესით არჩეული მერის მანტიით მოევლინა ქალაქს.

ამავე დროს ქუთაისის ადგილობრივ თვითმმართველობაში „ქართული ოცნება“ უმრავლესობით მოვიდა.

რაც შეეხება საკრებულოს — ის ხუთი პარტიის დეპუტატებით დაკომპლექტდა. „ქართული ოცნება“, „ნაციონალური მოძრაობა“, „ლეიბორისტული პარტია“, „პატრიოტთა ალიანსი“ და „ბურჯანაძე–გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა“ – ამ პარტიათა წევრებმა ქუთაისის საკრებულოს მანდატები დაინაწილეს. საკრებულოს თავმჯდომარის პოსტი კი დავით დვალმა დაიკავა.

როგორც აღვნიშნეთ, მიმდინარე წელი აქტივობებით არ გამოირჩეოდა. ერთადერთნი, ვინც მერიას მუშაობას უწუნებდნენ საკრებულოს „ნაციონალი“ წევრები და საკრებულოს გარეთ დარჩენილი „თავისუფალი საქართველოს“ იმერეთის ორგანიზაციის ლიდერი გოგი წულაია იყვნენ.

წლის სკანდალად ქუთაისში სამეცნიერო ბიბლიოთეკის გარშემო განვითარებული ამბები შეიძლება დასახელდეს. ბიბლიოთეკარების ნაწილმა ხელფასის გაზრდის მოთხოვნით გაფიცვა მოაწყო.

ბიბლიოთეკარებს საქციელი პირველმა ვიცე-მერმა, ნოდარ მიქიაშვილმა, დაუწუნა და აღნიშნა, რომ ისინი ხელფასის გამო არ უნდა იფიცებოდნენ. მოგვიანებით ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა პროტესტი შოთა მურღულიასთან შეხვედრით დაასრულეს. აქტიურად განიხილებოდა საკითხი ბიბლიოთეკაში კონკურსის ჩატარების, თუმცა ზუსტი ინფორმაცია, ჯერჯერობით, არ ვრცელდება. ეს პრობლემაც 2015-ს დარჩა მოსაგვარებელად.

კონკურსი თვითმმართველობაში! – აქტიური მოვლენა ქუთაისის რეალობაში. მერიამ ადგილობრივ თვითმმართველობაში 179 ვაკანტურ ადგილზე კონკურსი გამოაცხადა. საჯარო სამსახურში დასაქმების სურვილი უპრეცენდენტოდ ბევრმა ადამიანმა გამოთქვა. 179 ვაკანტურ ადგილზე განაცხადი 5000-მდე აპლიკანტმა შეიტანა.

ტესტირების შემდეგ საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ კონკურსანტებთან, რომელთაც ტესტირება წარმატებით გაიარეს, გასაუბრება დაიწყო. რომელიც უკვე დასრულდა, თუმცა საბოლოო შედეგები ამ დრომდე არ არის ცნობილი.

კონკურსი დაპირისპირების მიზეზიც გახდა, არასამთავრობო ორგანიზაცია „ევროპა ჩვენი სახლია“ ქუთაისის მერიასა და საკრებულოს მაღალჩინოსნებს ვაკანტური ადგილების საკუთარი პროტეჟეებისათვის გადანაწილებაში სდებდა ბრალს და აცხადებდა, რომ კონკურსი იყო დემოკრატიული ბლეფი.

აღსანიშნავია, რომ 2015 წლიდან მერიაში დასაქმებული საჯარო მოხელეები გაზრდილ ხელფასს მიიღებენ.

პარლამენტის ქუთაისიდან გადატანის საკითხი 2014-შიც აქტიურად განიხილებოდა, თუმცა მმართველმა გუნდმა მაინც შეძლო და ახლა საპარლამენტო სხდომები თბილისში მდებარე პარლამენტშიც ტარდება.

საპარლამენტო სტატუსის დაკარგვის საფრთხესთან ერთად, ქუთაისი წელს სატრანზიტო ქალაქის ფუნქციასაც შეელია. პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა, ქუთაისის შემოვლითი გზა საზეიმო ვითარებაში გახსნა.

მომხდარს სხვადასხვა შესაფებები მოჰყვა, ზოგი თვლიდა, რომ ქუთაისმა ფუნქცია დაკარგა, ზოგის აზრით კი, შემოვლითი გზით ქუთაისი სარგებელს მიიღებს, მაგისტრალის მიმდებარე სოფლები ქუთაისის შემადგენლობაში მოექცევა. ალბათ, 2015-ში ვიგრძნობთ ამ სარგებელსაც.

წლის ბოლოს ხმაურით დამტკიცდა ქუთაისის ბიუჯეტი. საკრებულოს „ნაციონალმა“ დეპუტატებმა მომავალი წლის ბიუჯეტს „შეუსრულებლობისთვის განწირული“ უწოდეს და 47755000-ლარიან მთავარ ფინანსურ დოკუმენტს მხარი არ დაუჭირეს.

გზა, წყალმომარაგება, ხელფასი, სოციალური დახმარება და პენსია – ეს საკითხები კვლავ პრობლემად რჩება ქუთაისელებისთვის, მათი მოგვარების პირობა „ქართულმა ოცნებამ“ ჯერ კიდევ მთავრობაში მოსვლამდე დადო.

როგორი იქნება 2015 წელი ქუთაისისთვის და ზოგადად, ქვეყნისთვის? ამის შეფასება მომავალი წლის დასასრულს შეიძლება, თუმცა, თუ კოალიციის ლიდერს და ყოფილ პრემიერ-მინისტრს, ბიძინა ივანიშვილს დავუჯერებთ, 2015 წელი, მთავრობის შეცვლის მესამე და „უკეთესი“ წელი იქნება.

**ნესტან ჩაგელიშვილი**

# საახალწლო პლაკატ-კალენდართა საქმე

**იმ დროის დაღამებაც ეგეთია: სხვანაირი. გაგანია ოთხმოცდაათიანებია. ვისაც დამიწება აქვს, ის ცას უნდა ეწიოს. დამიწება ეგ არის, რასაც რომ ალქიმიას უწოდებდნენ ძველნი მეცნიერნი. ანუ ფაზა ნულიდან უნდა გამოადნო დენი, რომელიც კარიკატურას უფრო ჰგავს, ვიდრე მის რეალურ არქეტიპს. უბრალოდ იმედი უფროა — ოდესღაც ელექტროენერგია არსებობდა. ძირითადი საქმე ლამფაა და მისი ჩრდილები: თამაშობ კედელზე ხელის ლანდების მოძრაობით: ციყვი იხატება ადვილად, ძაღლი ხომ ლამის ყეფს, აქლემი გამოდის ძნელად.**

ახალი წლის მზადების ღამეები სხვა მაგიაა. იგივენი და უფრო მძლავრად დანთებული ღუმელი. მოკოწიწებული ფულით შეგროვებული მასალით ნამცხვრის ცხობის პროლოგი. სიკვდიმისჯილთა საკნიდან ქათმის შეგუებული დუმილი. და კედელზე შარშანდელი, შარშანწინდელი, იმისწინდელი საახალწლო პლაკატები დიდებული კოლაჟებით (ახალი წლის კალენდარი მოიპოვებოდა ცოტა გვიან): BMW, კლაუდია შიფერი და მამალი, თუ მამლის წელია; შერონ სტოუნი, სახლი ალპებში რომანტიკული, ბაცი ყვითელი ნათებით და დრაკონი; ლეტიცია კასტა, სანტა-კლაუსი და ვირთხა; ნაომი კემპბელი არ მახსენდება. მოკლედ ახალი წელი მოდის და...

სხვა ამბავია ეს ახალი წლის პლაკატ-კალენდრები. კედელზე გაყინული დრო და განწყობები. ახლაც სოფელში 1987 წლის კალენდარს გადავაწყდი, დედაჩემს მიუწერია 10 აპრილზე — გიორგი გახდა სამი წლის. მე აბა




რა მახსოვს ეს ღირშესანიშნავი საქმე. მაგრამ მაინც დავიძაბე — ყველა დრო მნიშვნელოვანია, სადაც მყოფობდი, თუნდაც მეხსიერება ვერ წვდებოდეს. მსგავსი სენტიმენტალურ-მოფილოსოფიურო ამბავი. მე ეგეთი პლაკატებიც მახსოვს, ქვეყნის მეთაური გვიღიმოდა და მისი კბილები უკეთეს წელს გვპირდებოდა. იმედი კი ცრუვდებოდა, მაგრამ ახალი წელი, რაღაც ამბავში, იმთავითვე გულისმხობს წინასწარგანზრახულ სიცრუეს — თვალის არ და თავის მოტყუებას. ჰოდა, პლაკატებიც ეგეთი უნდა იყოს — ხომ გახსოვთ სიმღერაცაა „მოწყენილი სახეები დღეს არ იქნება“. მოკლედ...

ახლა ბიბლიოთეკის არქივები. არ ვიცი რატომ, მაგრამ ამ საქმეში ჩართული ხალხი ეტყობა დიდი ენთუზიაზმით არ უდგებოდა აღნიშნულ საკითხს ან ახალი წლის დადგომა არ იყო მათი „პრიორიტეტი“. მეორეცაა — ფონდები კიდევ საკვლევია და შე-




იძლება მოულოდნელი განძიც ამოვაყოლოთ ანკესს.

საბჭოთა პერიოდის პირველი ნახევრის საახალწლო პლაკატების სტილი მოწოდებებს უფრო მოიცავს. რიგ შემთხვევაში — ამა და ამ წელს საბოლოოდ დავამარცხოთ კულაკები და აღმოვფხვრათ ბურჟუაზია ან ავაშენოთ მეტი ელექტროსადგური და სილოსი (თავის დამამწნილებელი მანქანა). მოკლედ ახალი წლის პლაკატებისა არაფერი ეცხო — სადღაც მიხატული ულიმღამო თოვლის ფიფქის გარდა.

ომის დროს, ცხადია, საბჭოთა ჯარისკაცი გვილოცავდა ახალ წელს შაშხანის ლულაზე შეყინული ლოლოთი და გამარჯვების მოწადინე სახით. 1945 წელს ეს სახე უკვე მოზეიმედ იქცა!

ამის შემდეგ პლაკატები ჰეროიკულობას იფერებს — წელში გამართული ქალი და კაცი, საბჭოთა დროშით და გაჩახჩახებული ფონი — როგორც წესი, მოსკოვი ან ლენინგრადი. ამგვარი განწყობა შეგნებული განზრახვითაა — მართალია, რეალურ ცხოვრებაში კომუნიზმი ჯერ არ დამდგარა, მაგრამ განწყობა, რომ ის კარზეა და შეიძლება, თუნდაც ამ წელს ჩვენი ცხოვრების ნაწილი გახდეს, გადამდებია. ასეთი პლაკატები, როგორც წესი, რუსულ ენაზე იბეჭდებოდა და ყველა დაწესებულებაში რიგდებოდა. ვარიაციებს იშვიათად შენიშნავთ — შემართება თანაბარი უნდა ყოფილიყო ლიმონათის ჩამომსხმელი ქარხნის მუშის ოთახსა და ცეკას რომელიმე მდივნის პრიალა კაბინეტში. სხვა საქმეა, რამდენად მართალ ექოს სთავაზობდა რეალური ცხოვრება ამ ამბავს.

დგებოდა, თემატური ახალი წლებით. მაგალითად თუ წინა წელს რომელიმე ატომურ სადგურს გახსნიდნენ, ეს განწყობა ირიბად მაინც შეეპარებოდა სურათს. როგორ გამოგვრჩებოდა კოსმოსში გაფრენის საქმე: ახალი წლის პლაკატები გაგარინის პოსტერებად იქცა. ოღონდ იურის „როლში“ შეიძლება სათნოსახიანი ბავშვიც ყოფილიყო — მთავარია რაკეტაზე ამხედრებული.

ვიზუალი ოთხმოციანებში იცვლება. უფრო გრაფიკული და ინტელექტუალური ხდება. გამარჯვების პათეტიკური მუხტი თითქოს სადღაც ქრება. ცდილობენ ყველა ძირითადი სიმბოლო ერთად დაატიონ, ქვეყნის საფირმო ამბები და ბრენდები. ერთგან რაღაც მოწყენილი საბეჭდი მანქანაც კი გვხვდება — შავი და ულიმღამო. თითქოს საბჭოთა კავშირის ნეკროლოგს წერს წინასწარ...

liberali.ge

**მთავარი რედაქტორი:**
ნატო გუბელაძე

**დიზაინი:** ირმა ბახუტაშვილი

**ოპერატორი და კორექტორი:**
ლალი კუპრაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

**R — ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე**

**გამომცემელი** — შპს „P.S.“
(„პოსტსკრიპტუმი“).
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია
№5/ბ-1401

გაზეთ „P.S.“-ის კლასიფიკაციის კოდი:
**UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)**
**პ - 658**
**P - 86**

**მისამართი:** ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37ა. პრესის სახლი.

- (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
- psnews27@gmail.com
- www.psnews.ge



# „სამი-ზნე“ — გემოვნებიანი მსმენელის სამიზნე

**ქუთაისში უკვე კარგად იცნობენ, თუმცა, არა მხოლოდ ქუთაისში... ცოცხალი მუსიკა, კარგად შესრულებული მელოდიები, ემოცია და მუხტი ერთ მთლიანობას ქმნის და „გაიძულებს“ მათი შესრულება დიდხანს დარჩეს მეხსიერებაში.**






მუსიკალური ჯგუფი „სამი-ზნე“ 2005 წელს ჩამოყალიბდა. თავდაპირველად, ორი წევრისგან შედგებოდა და ქუთაისში მოქმედ ერთ-ერთ კაფეში მხოლოდ კომპოზიციებს ასრულებდნენ.

იმ დროისთვის ჯგუფს სახელიც არ ჰქონდათ – მხოლოდ მიზანი და პერსპექტივა...

პირველები გიტარისტი გივი შალამბერიძე და პიანისტი ლევან ჩხაიძე შეიკრიბნენ. შემდეგ დრამერი გიორგი ვარდანიძე დაემატათ.

წელიწადნახევრის წინ კი ჯგუფს ვოკალისტი ქეთი თურქაძე შეუერთდა. როგორც ქეთი იხსენებს, მათი ურთიერთობა სოციალური ქსელით დაიწყო და აქტიურ თანამშრომლობაში გადაიზარდა.

ქუთაისელი ქეთი ქართველმა მაყურებელმა კონკურს „საქართველოს ვარსკვლავი“-დან გაიცნო. მხიარული გოგონა, რომელიც „ საქართველოს ვარსკვლავობას“ ბაბუისა და ბებიისთვის იმედების გასამართლებლად ცდილობდა, დღესაც ჩვეული ემოციით და ენერგიით ავსებს მსმენელს. ის ჯგუფთან ერთად ერთ-ერთ კაფეში ცოცხლად მღერის და ცდილობს, საკუთარი სილაღე სხვებსაც გადასდოს და გაუზიაროს.

ჯგუფთან თანამშრომლობის დაწყებასაც იუმორით იხსენებს:

„მე სამსახურს ვეძებდი, ბიჭები კი – ვოკალისტს. დამიკავშირდნენ, გამიხარდა, მაგრამ ვუპასუხე, რომ მე ქუთაისში ვცხოვრობდი და თანამშრომლობას ვერ შევძლებდი, ვერ წარმოვიდგენდი, თავადაც ქუთაისში თუ მოღვაწეობდნენ. შემდეგ დავთანხმდი, პირველივე შეხვედრაზე შედგა ჩვენს შორის ე.წ. „ქიმია“, მივედი და რეპეტიციის გარეშე ექსპრომტად შევასრულეთ ერთ-ერთი მუსიკალური ნაწარმოები. ასე დაიწყო და გაგრძელდა ჩვენი ურთიერთობა, მე ძალიან გახარებული ვარ და ვერც ბიჭებს ვატყობ უხასიათობას ამ თანამშრომლობით,“ – აღნიშნავს ჯგუფის ვოკალისტი.

„სამი-ზნე“ – სახელი შემთხვევით არ შეურჩევიათ, თუმცა ბედნიერი შემთხვევის წყალობით კი დაერქვათ. ორი წლის წინ „ორმაისობის“ დღესასწაულთან დაკავშირებით ქუთაისში „რუსთავი 2“-ის გადამღები ჯგუფი იმყოფებოდა. დღის ბოლოს სწორედ იმ კაფეში აღმოჩნდნენ, სადაც ბიჭები უკრავდნენ. გადამღებმა ჯგუფმა მუსიკოსებს შესთავაზა „ორმაისობაზე“ დაგეგმილი შოუსთვის რამდენიმე კომპოზიცია შეესრულებინათ.

„რა თქმა უნდა, შემოთავაზებას დავთანხმდით და ჩვენის მხრივ, ვთხოვეთ ჩვენი ჯგუფისთვის სახელი შეერჩიათ, მათ რამდენიმე ვერსია მოიფიქრეს, თუმცა, ერთ-ერთი ძალიან მოგვეწონა, ვინაიდან მაშინ სამი სრულიად განსხვავებული ხასიათის ადამიანი ვიყავით, ამიტომ არჩევანი „სამი-ზნე“-ზე გავაკეთეთ. ეს არ ნიშნავს, დღეს რომ ოთხნი ვართ ან ხვალ 15 გავხდეთ, „თხუთმეტი-ზნე“ დაგვერქმევა, ეს სახელი ძალიან მოგვწონს და არ შეიცვლება,“ – აღნიშნავს გივი შალამბერიძე.

ქუთაისში რამდენიმე თვის წინ მესხიშვილის დრამატულ თეატრში გამართულ მანანა მენაბდის კონცერტზე ბევრს საუბრობდნენ, იმ დღეს მომღერალს აკომპანირებას „სამი-ზნე“ უწევდა. კონცერტის დასასრულს ჯგუფს ახალი სახელი – სცენის ვირტუოზები შეარქვეს.

„ქალბატონ მანანას ორი წლის წინ ბათუმში შევხვდით, „პიაცაზე“ ფესტივალი მიმდინარეობა, მოგვისმინა და გვითხრა, რომ საქართველოში კონცერტის ჩატარებას გეგმავდა და აუცილებლად ითანამშრომლებდა ჩვენთან. ასე აღმოვჩნდით ერთად დიდ სცენაზე, ეს ნამდვილად კარგი კონცერტი იყო, ერთობლივი ნამუშევარი, უზღვავი შრომა და კარგი შედეგი. ალბათ, ყველა მუსიკოსი დაგვეთანხმება, რომ მანანა მენაბდესთან მუშაობა ნამდვილი სიამოვნებაა“.

საკუთარი რეპერტუარი ჯერ არ აქვთ, ვინაიდან ბაზარზე არც მოთხოვნაა და არც დაკვეთა, მით უფრო, ქუთაისის პირობებში. თუმცა სურვილი დიდია, შექმნან ახალი კომპოზიციები. ამბობენ, ქუთაისელი მსმენელი ინერტულია, მხოლოდ ვიწრო ჯგუფს მოსწონს კარგი მუსიკა და ის, რაც თბილისში აპლოდისმენტებს იმსახურებს, ქუთაისში უყურადღებოდ რჩება.

„ვიფიქრებდით, რომ ვერ ვაკეთებთ კარგ მუსიკას და ბოლომდე არ ვიხარჯებით, მაგრამ თბილისელ მსმენელს სხვა შეფასება აქვს, მოსწონს ჩვენი მუსიკა და ამას ვგრძნობთ, ქუთაისში მხოლოდ ვიწრო ჯგუფს უყვარს კარგი მუსიკა, ზოგჯერ ვფიქრობთ, რომ მხოლოდ საჭმელად მოდიან, ამას, როგორც საყვედურს ისე არ ვამბობთ, შესაძლოა, „მოვბეზრდით“ ან „შინაურ მღვდელს შენდობა არ აქვს“ – ამბავია, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, როგორც მუსიკოსები, თბილისში გაცილებით კომფორტულად ვგრძნობთ თავს“.

***

ჯგუფის წევრებს ინტერვიუს ჩასაწერად რეპეტიციაზე შევხვდი. როგორც თავად ამბობენ, მუსიკალური სასწავლებლის შენობაში შემოხიზნულები არიან და რეპეტიციას მეგობრების წყალობით გადიან. თუმცა რეპეტიციები ხშირად არ აქვთ, მხოლოდ კონცერტების წინ. რეპეტიციებზე ერთმანეთის უთქმელადაც ესმით.

„რეპეტიციებს მეგობრების ხელშეწყობით ვახერხებთ, უსასყიდლოდ გვითმობენ ფართს, სამწუხაროდ, ქუთაისში არ არის ადგილი და არც შესაბამისი ინფრასტრუქტურა, სადაც ჯგუფები და მუსიკოსები მუშაობას შეძლებენ“.

„სამი-ზნე“ ამჯერად საახალწლო კონცერტისთვის ემზადება, თუმცა, არა მშობლიურ ქალაქში. ქუტაისში დაგეგმილ საახალწლო გალა-კონცერტში მონაწილეობისთვის მოწვევა არ მიუღიათ, ამიტომ ახალ რეპერტუარს თბილისელი მსმენელისთვის ამზადებენ.

ჯგუფის პიანისტის განცხადებით, კულტურის სამინისტროს მიერ საახალწლო კონცერტის დაგეგმვა ტრაგედია არაა, თუმცა აღნიშნავს, რომ სამინისტრო ადგილობრივ თვითმმართველობებთან უნდა თანამშრომლობდეს, რომ ადგილობრივი შემსრულებლების დატვირთა მოხდეს, სხვა შემთხვევაში რაიონში მცხოვრები მომღერლები და მუსიკოსები რეალიზებას ვერ შეძლებენ.

„დაგეგმოს სამინისტრომ, რატომაც არა, მაგრამ მიდგომებშია პრობლემა, ადგილობრივ დონეზე კონცერტის დაგეგმვა თვითმმართველობასთან თანამშრომლობით უნდა მოხდეს და ფუნქციური დატვირთვა უნდა შეიძინოს. რა თქმა უნდა, კარგია, თბილისიდან რომ ჩამოჰყავთ მომღერლები, მაგრამ სხვა ქალაქიდანაც უნდა იწვევდნენ შემსრულებლებს თბილისში სამღერლად. ჩვენც დაგვიძახონ თბილისის გალა-კონცერტში მონაწილეობის მისაღებად, დაგვერწმუნეთ, ძალიან კარგ მუსიკას „დავდებთ“. ცოტა უხერხულია, მომღერლები საახალწლო კონცერტის სიაში ვერ მოხვედრის გამო რომ წუწუნებენ, მით უფრო, რეგიონებში სიმღერა არ მოსწონთ, რის მიზეზადაც რეგიონებში არსებულ უხარისხო ტექნიკას ასახელებენ. ასევე სამწუხაროა, რომ ყველა კონცერტი თბილისის დონეზე იგეგმება, უცხოური შემსრულებლები მხოლოდ თბილისისთვის არ უნდა ჩამოჰყავდეთ. ზოგადად, ნორმალურ ქვეყანაში მუსიკოსი არ უნდა ამბობდეს საყვედურს საახალწლო კონცერტების გამო, ბიზნესმენებმა უნდა დაიქირაონ შემსრულებლები, კონცერტები უნდა ტარდებოდეს და ფული ჩაიდოს, სხვაგვარად შოუბიზნესი ვერ განვითარდება,“ — ამბობს ქეთი.

2015 წელი ჯგუფისთვის საიუბილეო წელია, გეგმავენ, 10 წელი ქუთაისში კონცერტით აღნიშნონ და ათწლიანი მუშაობის შედეგი მეგობრების დახმარებითა და მხარდაჭერით ერთი დიდი კონცერტის სახით წარმოაჩინონ, რადგან „სამი-ზნეს“ ერთგული მსმენელისთვის სათქმელი ბევრი დაუგროვდა.

**ნესტან ჩაგელიშვილი**

## როგორ გავალამაზოთ საახალწლო სუფრა

იმისათვის, რომ საახალწლო განწყობა აიმაღლოთ და სუფრაც ლამაზად გააფორმოთ, თვალი მიადევნეთ ფოტოებს და ნაბიჯ-ნაბიჯ შეისწავლეთ ულამაზესი და უგემრიელესი კერძების მომზადებას.

ფოტოზე ნაჩვენები თოვლის ბაბუები კვერცხის, სტაფილოს და ოხრახუშისგან მზადდება. პირველ რიგში მოხარშული კვერცხი დაამაგრეთ ჩხირებზე, შემდეგ მრგვალად დაჭრილი სტაფილოს ორი ნაჭერი თავზე დაადეთ, ზეთისხილისგან გამოჭერით პატარა წერტილები და სტაფილოსგან სამკუთხედი, გვერდებზე ოხრახუშის თითო ფოთოლი გაუკეთეთ და კერძიც მზადაა.

intermedia.ge











## მარკუს მეტრეველი:

# „საკუთარი დაგვეფასებინა, პირველ რიგში...“

**როცა სვამენ კითხვა, როგორ მდგომარეობაშია ქართული თანამედროვე ხელოვნება, ცალსახა პასუხს იძლევიან: როგორც ყველაფერს საქართველოში, ხელოვნებასაც კრიზისული პერიოდი აქვს. სახელოვნებო სფეროდან ყველაზე უკეთეს პირობებში, წესით, შოუბიზნესი უნდა იყოს, თუმცა, ჩანს, რომ ამ სფეროშიც არასახარბიელო მდგომარეობაა. აღნიშნულთან დაკავშირებით მომღერალი მარკუს მეტრეველი საკუთარ აზრს ჩვენთან აფიქსირებს.**



**— მარკუს, რა არის იმის საფუძველი, რომ ქართული შოუბიზნესი რჩება არასახარბიელო მდგომარეობაში?**

— ამ თემასთან დაკავშირებით ძალიან ბევრჯერ მისაუბრია და გამიცია პასუხი, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ ეს ჩემი პროფესიაა და გული შემტკივა მასზე, პასუხის გაცემას არასდროს დავიზარებ. დავასახელებ იმ „ინგრედიენტებს“, რომელიც სჭირდება გამართული შოუბიზნესის შექმნას: ნიჭიერი მომღერლები, პროდიუსერები, ფული, კარგი საკონცერტო დარბაზები, კარგი აპარატურა, კარგი განათება, მუსიკალური ტელევიზიები, მუსიკალური დაჯილდოებები, კონკურენცია, მუსიკალური სტუდიები,

ლეიბლები, ვინც ორგანიზებას გაუკეთებს მთლიანად შემსრულებლის ალბომს და მის პროპაგანდას, ეკომომიკური სტაბილურობა, ხალხის დასაქმება, ეკომონიური კეთილდღეობა.

**— ჩამონათვალიდან რომელიმე გააჩნია საქართველოს?**

— ამ ჩამონათვალიდან რომელი გააჩნია ქვეყანას? მხოლოდ ნიჭიერი არტისტები, მომღერლები!

**— სოციალურ ქსელში წერდი, რომ შოუბიზნესი უყურადღებოდ არის მიტოვებული...**

— დიახ, საერთოდ უყურადღებოდაა მიტოვებული ქართული შოუბიზნესი. ზოგადად, რომ იცოდეთ, ესტრადა არის ქვეყნის ლამაზი ფასადი და მას მუდმივად სჭირდება მოვლა და გაფრთხილება.

**— ამბობენ, რომ საქართველო პატარა ქვეყანაა და შოუბიზნესისთვის მცირე ბაზარია...**

— ძალიან მცდარი მოსაზრება და გამონათქვამია ის, რომ საქართველო არის ძალიან პატარა ქვეყანა და აქ ვერ განვითარდება შოუბიზნესი. 90-იან წლებში ყვაოდა ესტრადა. კონცერტები ხშირად ტარდებოდა და დასაქმებული იყო ყველა არტისტი. ჩვენი ბრალია, რომ დღეს უკვე ქართველ შემსრულებლებს ნაკლებად უსმენენ და „ეგოიმებათ“. იცით, რისი ბრალია ეს ყველაფერი: დღეს საქართველოში მომღერალს ევაჭრებიან 100-200 ლარზე და, უკიდურეს შემთხვევაში, 50 ლარზეც. ამდენი რომ დაიკლოს შემსრულებელმა, მისი ჰონორარი ვერანაირად ვერ მოახერხებს იმას, რომ ჩაწეროს ხარისხიანი სიმღერა და მიაწოდოს მსმენელს.კლიპზე ხომ ოცნებაც აღარ შეიძლება! დღეს ქვეყნის პრიორიტეტი უცხოური პოპ და ჯაზ მუსიკაა. ქართული სიმღერა ისევ ჩრდილშია. დააკვირდით, ყველა მუსიკალურ კონკურსზე ქართველები უცხოურს მღერიან, საკუთარს არ სცემენ პატივს და არ ავითარებენ. რესტორნებსა და კლუბებში სიმღერით შოუბიზნესი არ პროგრესირდება. სახელმწიფომ გამოგვიცხადა, რომ ესტრადა თვითკმარი უნდა იყოს. აქაც არაპროფესიონალიზმი ჩანს. თუკი შეუძლია ქვეყანას, რომ დააფინანსოს მცირე და საშუალო ბიზნესი, თუ შესაძლებელია, რომ ხელი შეუწყოს ღვინის, მინერალური წყლების რებრენდინგს, რატომ არ უნდა შეეწყოს ხელი შოუბიზნესს?! ხომ შეიძლება, რომ ის უაზროდ გადაყრილი თანხები, რომლებიც გააქვთ უცხოელ ვარსკვლავებს ჩვენი ქვეყნიდან, მოხმარდეს ქართული ხელოვნების განვითარებას?

**— დაახლოებით რამდენია საჭირო იმისათვის, რომ „სისხლი გადაესხას“ ქართულ შოუბიზნესს?**

— თუნდაც 1 მილიონი ერთხელ მაინც ჩაიდოს ქართულ შიუბიზნესში! დამერწმუნეთ, ასეთ დოტაციას უდიდესი შედეგი მოჰყვება, რადგან ჩვენ ძალიან ნიჭიერი მომღერლები გვყავს და ეს ყველაზე დიდი კაპიტალია. თუ არ ვისწავლით საკუთარის დაფასებას, ხელისშეწყობას და პატივისცემას, სხვა ნაკლებად დააფასებს ყველაფერ ქართულს.

**— ბოლო პერიოდში ვნებათაღელვა მოჰყვა მომღერალთა გადანაწილებას დედაქალაქისა და რეგიონების საახალწლო კონცერტისათვის. რას გვეტყვი ამაზე?**

– რაც შეეხება მომღერლების გადანაწილებას საქართველოში, ჩემთვის, როგორც პროფესიონალისთვის, მნიშვნელობა არ აქვს, ვიდგები თბილისში თუ რომელიმე სოფლის სცენაზე. მთავარია, რომ ესიამოვნოს საზოგადოებას და მსმენელს ჩემი გამოსვლა. ყოველთვის მზად ვარ, გავულამაზო წუთები მსმენელს და ვაჩუქო ხალხს ჩემი სიმღერები. ამბიცია იქიდან არ უნდა გამომდინარეობდეს, თუ სად და ვის წინ იდგები. მუსიკალურ აკადემიაში მასწავლეს, თუნდაც ერთი ადამიანი იჯდეს დარბაზში, მუსიკოსი მზად უნდა იყოს, რომ მაინც ბოლომდე დაიხარჯოს მისთვის. ამიტომ აჯობებს, ჩვენი ამბიციები ჩვენს განვითარებაში დავხარჯოთ და არა საზოგადოების დიფერენციაციასა და აწონ-დაწონვაში.

**— სად ხვდება მომავალ წელს მარკუს მეტრეველი?**

– ძალიან მიხარია, რომ ახალ წელს შევხვდები უსაყვარლეს და ულამაზეს ქალაქ ჭიათურაში. როგორც ვიცი, ოთხი მომღერალი ვიმღერებთ 2015 წელს სამთოელთა ქალაქში, სადაც გემოვნებიანი, ინტელექტით გამორჩეული მაყურებელი გვეყოლება. იქიდან მთელ საქართველოს მივულოცავ ამ მნიშვნელოვან დღეს. შემდეგ დავბრუნდები თბილისში და ჩემს კოლეგებთან ერთად გავაგრძელებ „გუგუნს“.

– **რას იტყვი იმ ადამიანზე, რომელიც კულუარულად წყვეტს თურმე მომღერლების „ხარისხს“?**

– ძალიან მიკვირს, როგორ აკეთებს განცხადებებს კულტურის სამინისტროდან არაპროფესიონალი კადრი. იმ ქალბატონის კომპეტენტურობაში ეჭვი მეპარება, რომელმაც განაცხადა, ახალი წლის კონცერტებზე ის მომღერლები იმღერებენ, ვისაც ცოცხლად სიმღერა შეუძლიაო. ამ განცხადებით ძალიან ბევრ მომღერალს მიაყენა შეურაცხყოფა. საკითხავია, რატომ უნდა იყოს „მეტრი“ ვინმე არაპროფესიონალი, ვინც განაგებს ამ კონცერტების სიას და ადგენს, ვინ სად უნდა იმღეროს? აქვე დავამატებ, რომ მე არაფერი მაქვს საწინააღმდეგო მათი, ვინც თბილისის კონცერტზე იმღერებს!

**— ანუ, ქართველ მომღერლებს შეუძლიათ ცოცხალი შესრულებაც... და რატომ მღერით ფონოგრამით?**

– შეუქმნან მომღერლებს პირობები და სულ ცოცხლად ვიმღერებთ! ამაზე დიდი სიამოვნება მუსიკოსისთვის არაფერია. მაგნიტოფონის დინამიკებითა და ორლარიანი კარაოკეს მიკროფონით ცოცხლად შესრულება წარმოუდგენელია.

ცოცხლად რომ ვიმღერო, იმ პირობებს მაინც ვერ შექმნიან, რომელიც შესრულებისთვის საჭიროა და იოგების გაყინვას არ ვაპირებ. ელემენტარულად, სცენა უნდა თბებოდეს და, რასაკვრიველია, ინსტრუმენტებიც სათანადო პირობებში უნდა მოექცეს, რადგან ტონალობას იცვლის ხმაც და ინსტრუმენტიც სიცივის დროს...

**— გაქვს, როგორც ჩანს, სახმო იოგების გაყინვის გამოცდილება...**

— ერთხელ მივიღე მონაწილეობა გალა-კონცერტში და იოგები ისე გამეყინა სცენაზე, რომ ლამის სცენაზე დავტოვებ ხმა აღარ მემორჩილებოდა. შესაფერის პირობებში ცოცხლად შესრულება სულ სხვა რამეა. მე საქართველოში ვისწავლე ფონოგრამაზე სიმღერა, თორემ ევროპაში სასაცილოც არის ამ თემაზე საუბარი...

**— ტექნიკური მხარის მოწესრიგებას თავად თუ ეცადე? ვთქვათ და, სიმღერა გიწევს ნორმალური ტემპერატურის პირობებში და საკუთარი აპარატურა რომ გამოიყენო კონცერტის დროს...**

— მაქვს ჩემი საკუთარი მიკროფონი, საუნდის აპარატურა, უმაღლესი დონის და წარმოიდგინეთ, ვერავინ ვერ გაუგო და ვერ გამისწორა საუნდი. აქ, ჩვენთან, ხომ ყველამ ყველაფერი იცის, ამ დროს საქმისა არაფერი გაეგებათ!

**— რას გვეტყოდი უცხოელი შემსრულებლების საქართველოში „იმპორტზე“?**

— ის მომღერლები, რომლებიც ჩამოჰყავთ, კარგია, მაგრამ ხომ შეიძლება, ის ათობით თასი მოხმარდეს ქართულ შოუბიზნესს და ჩაიწეროს ტემპიანი და ხალისიანი საახალწლო სიმღერები და არა ისეთი, მოსმენისას თავის ჩამოხრჩობა რომ მოგინდება. ბუნებრივია, რომ საქართველო კულტურულ საზღვრებს ვერ ჩაკეტავს, მაგრამ საკუთარი დაგვეფასებინა პირველ რიგში, ალბათ, სჯობდა!

**როლანდ ხოჯანაშვილი**

# ქუთაისის მე-7 საჯარო სკოლის საქველმოქმედო აქცია

**დათო და თორნიკე მიქაძეები ქუთაისის 7-ე საჯარო სკოლის მერვე და მეხუთე კლასების მოსწავლეები არიან. პატარა ძმები ამავდროულად „წითელი ჯვრის“ მოხალისეობასაც ითავსებენ.**

დედის, ირმა მიქაძის ინიციატივით, სწორედ ამ ბიჭებმა გადაწყვიტეს, საახალწლოდ საქველმოქმედო აქცია ჩაეტარებინათ.

ინიციატივა სკოლის დირექციასაც გააცნეს. მათ წამოწყებას დირექტორმა, ენდი ნემსიწვერიძემ მხარდაჭერა გამოუცხადა და სკოლის მოსწავლეებმა სიმბოლურად აკრებილი თითო ლარით სოლიდური თანხა შეაგროვეს.



„გადავწყვიტეთ, საქველმოქმედო აქცია ჩაგვეტარებინა და მოხუცებისთვის ახალი წელი გაგველამაზებინა. სკოლის დირექტორმა და სკოლის სამოქალაქო კლუბმა — „მე და სამართლიანი სამყარო“ — ზაირა ტყაბლაძის მენტორობით მხარი დაგვიჭირეს. საკმაოდ სოლიდური თანხა შეგროვდა. ქუთაისთან ახლოს არის მოხუცთა თავშესაფარი, სადაც სითბოსა და მზრუნველობას მოკლებული მოხუცები ცხოვრობენ, რომლებსაც ძალიან სჭირდებათ ჩვენი ყურადღება და თანადგომა. სწორედ თავშესაფრის ბენეფიციარებისთვის შევიძინეთ პროდუქტები შეგროვებული ფულით. წარმოუდგენლად დიდი სიხარული გამოხატეს. მოხარულები ვართ, რომ ჩვენმა სკოლამ შეძლო მოხუცებისთვის ახალი წლის გალამაზება,“ — განაცხადა **ირმა მიქაძემ.**

როგორც სკოლის წარმომადგენლები აღნიშნავენ, ისინი კვლავ აპირებენ ქველმოქმედების გაგრძელებას, მათი თქმით, ერთად ადვილად შეძლებენ ბევრი კარგი საქმის გაკეთებას, შეძლებენ იმ ადამიანებს დაეხმარონ, რომელთაც მზრუნველობა და ყურადღება განსაკუთრებით აკლიათ.





# „ღონე ქვეყნისა“ — „ჩვენი მიზანია, ქვეყანას ღირსეული შვილები აღვუზარდოთ“

**კერძო დაწყებითი სკოლა „ღონე ქვეყნისა“ სამი წელია, რაც ქუთაისში ფუნქციონირებს. ავტორიზებული სკოლა, რომელსაც 6 კლასის ლიცენზია აქვს, ამ დროისთვის 10 მოსწავლეს ემსახურება, თუმცა, როგორც სკოლაში აღნიშნავენ, არც მომავალში აპირებენ მოსწავლეთა კონტინგენტი მნიშვნელოვნად გაზრდას, საშუალოდ, 10-15 ბავშვზე მეტად.**

სკოლის დირექტორი თამარ ადეიშვილი დაბალი კონტინგენტის მიზეზად ბავშვებისთვის ხარისხიანი განათლების მიცემას და ღირსეული ადამიანების გაზრდას ასახელებს.

„ჩვენ თავიდანვე გათვლილი გვქონდა, რომ ბავშვთა ნაკადს არ გავზრდიდით. ჩვენი მიზანია, ჩვენთან მოსულ ბავშვს ხარისხიანი განათლება მივცეთ. ამ დროისთვის მხოლოდ 6 კლასის ლიცენზია გვაქვს, მაგრამ ვაპირებთ, რომ სრული საჯარო სკოლა გავხდეთ. არ გვექნება პარალელური კლასები. ვთვლით, რომ მასწავლებელი ერთ ჯგუფში უნდა დაიხარჯოს ბოლომდე, რადგან ხარისხიანი განათლება გასცეს.

სწავლის ჩვენებური მიდგომა გვაქვს, საგნობრივ ცოდნასთან ერთად უნარ-ჩვევებზე ვაკეთებთ აქცენტს. ჩვენი მიზანია, აღვზარდოთ ბავშვები, რომლებიც თავის დამკვიდრებას ისე შეძლებენ, როგორც ეს 21-ე საუკუნეშია საჭირო. რაც მთავარია, გვინდა, სამშობლოს კარგი ადამიანები გავუზარდოთ,“ — განაცხადა **თამარ ადეიშვილმა.**

სკოლისთვის სახელი შემთხვევით არ შეურჩევიათ. „ღონე ქვეყნისა – მარტო ნიჭიერი და მხნე კაცია“ – ილია ჭავჭავაძის სიტყვები დაედო სკოლას სახელად, ამიტომაც სკოლის დირექცია ცდილობს, ქვეყანას ღირსეული თაობა აღუზარდოს.

სკოლაში უჩვეულოდ თბილი და მშვიდი გარემო გხვდება, საახალწლოდ მორთული შენობა გაგრძნობინებთ, რამდენად ზრუნავენ ბავშვებზე, მასწავლებლები ცდილობენ, მათ სკოლაში ყოფნის პერიოდი გაულამაზონ. თავის მხრივ კი, პატარები ერთმანეთის და პედაგოგების მიმართ სიყვარულით და პატივისცემით გამოირჩევიან.

„ღონე ქვეყნისა“-ში სწავლა ჩვეულებრივად დილის 9 საათზე იწყება და 18 საათამდე გრძელდება. სკოლაში მისული ბავშვები ყოველ დღეს ლოცვით იწყებენ, პატარები ლოცვებს მორიგეობით კითხულობენ. რის შემდეგაც აქტიურ სასწავლო პროცესში ერთვებიან.

პედაგოგები ცდილობენ, მოსწავლეები პროცესში მაქსიმალურად ჩაერთონ. ბავშვებისთვის ცოდნის მიღების გასამარტივებლად თვალსაჩინოებებს ამზადებენ. ბავშვები ერთობლივად ქმნიან პლაკატებს, ილუსტრაციებს.

სკოლაში მნიშვნელოვანი ადგილი ინფორმაციული ტექნოლოგიების შესწავლას ეთმობა, რის ფარგლებშიც სხვადასხვა პროგრამებში მუშაობენ და გაკვეთილებს პრეზენტაციების მეშვეობით აწყობენ.

სკოლაში ხშირად მასპინძლობენ სხვადასხვა სფეროში მოღვაწე წარმატებულ ადამიანებს, მათ საქმიანობას აცნობენ ბავშვებს, რადგან მათ მომავალში გაცნობიერებულად შეძლონ სწორი, პროფესიული არჩევანის გაკეთება.

დასვენების დროს მასწავლებლები და მოსწავლეები ერთად ერთობიან, სხვადასხვა თამაშებში ჩართული პედაგოგები ცდილობენ, მათ შორის არსებული ბარიერები წაშალონ, თუმცა სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესები ამით არ სრულდება, დღის ბოლოს მოსწავლეები პატარა მსახიობებად იქცევიან, პედაგოგის დახმარებით ამჯერად საშობაო სპექტაკლს დგამენ.

წარმოდგენა ჩვენთვისაც გამართეს. მოსწავლეები მონდომებით ცდილობდნენ თავიანთი შრომის შედეგის ჩვენთვის ჩვენებას. ბავშვური გულწრფელობით მიულოცეს ქვეყანას დამდეგი შობა-ახალი წელი.

**ნესტან ჩაგელიშვილი**
psnews.ge


„P.S. ფოტო“ (ნესტან ჩაგელიშვილი) ©


„P.S. ფოტო“ (ნესტან ჩაგელიშვილი) ©

# რა კავშირი აქვს ფერეიდნელ ქალბატონს 26-ე საჯარო სკოლასთან?

## „შენ ხარ მოვალე... და გადავრჩებით“ — ღია კარის დღე ქუთაისის 26-ე სკოლაში

**„საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი – ქართველები მეორე მსოფლიო ომში!“ „ენა, ფსიქიკა, ტრადიცია, ნასოფლარი“, „... და გადავრჩებით“ – ამ თემების ირგვლივ ქუთაისის 26-ე საჯარო სკოლაში ღია კარის დღე გაიმართა.**
**ოთხი გამორჩეული გაკვეთილი ისტორიის პედაგოგის – ხათუნა ბუაძის, დაწყებითი კლასების პედაგოგის – მაკა ყიფიანის და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების – ეკატერინე დოლიძის და თეა სინატაშვილის ხელმძღვანელობით ჩატარდა.**


„P.S. ფოტო“ (ჟანა ჯანელიძე) ©


„P.S. ფოტო“ (ჟანა ჯანელიძე) ©

ღია გაკვეთილების ჩატარება სკოლის დირექციის ერთობლივი ჩანაფიქრი იყო.„ეს ჩვენი ერთობლივი იდეა იყო, გადავწყვიტეთ, ასეთი აქტივობა განგვეხორციელებინა. მიუხედავად იმისა, რომ არცერთმა ჩვენგანმა არ ვიცოდით, რას აკეთებდნენ დანარჩენი მასწავლებლები, ოთხივე გაკვეთილი ერთ მთლიანობად აღიქმება, ემოციური დატვირთვაც ერთნაირი იყო. როცა ზოგად სახელს ვეძებდით, თუ რა დაგვერქმია ღონისძიებისთვის, შევთანხმდით, რომ სახელწოდება – „შენ ხარ მოვალე... და გადავრჩებით!“ – ყველა ჩვენგანის მიერ ჩატარებულ გაკვეთილს შეეფერებოდა. ამ სათაურმა გაგვაერთიანა და გამოგვივიდა არაჩვეულებრივი გაკვეთილები,“ – განაცხადეს პედაგოგებმა.

როგორც პედაგოგებმა გვითხრეს, თითოეული მათგანის მიერ შერჩეული თემა ერთ-ერთ ჩვეულებრივ საგაკვეთილო პროცესზე გამოიკვეთა, როდესაც მოსწავლეები კონკრეტული გაკვეთილის თემის ღრმად შესწავლით დაინტერესდნენ. მათი ასეთი ინტერესი კი პედაგოგებმა ერთ დიდ შემეცნებით წარმოდგენად აქციეს და ღია გაკვეთილის სახით შესთავაზეს დამსწრეთ.

ისტორიის ღია გაკვეთილზე, რომელიც მე-8 კლასში ჩატარდა, ბავშვებმა მეორე მსოფლიო ომში მებრძოლ ქართველებზე ისაუბრეს. მასწავლებლის, **ხათუნა ბუაძის** დახმარებით მოაწყვეს პრეზენტაცია, თემის ირგვლივ მსჯელობა, დასურათებული ჩვენება, რაც იმდროინდელი სიუჟეტის გაცოცხლებას ისახავდა მიზნად...

„ენა, ფსიქიკა, ტრადიცია“ — ეს საკითხი მე-5 კლასში განიხილეს. კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა **ეკატერინე დოლიძემ** გვითხრა, როდესაც ბავშვებს ნაწარმოები „იავნანამ რა ჰქმნა“ აუხსნა, ისინი ძალიან დაინტერესდნენ ლეკების მიერ ქეთოს გატაცებით. ამ ინტერესმა მასწავლებელი თერჯოლაში მცხოვრებ ერთ-ერთ ფერეიდნელ ქართველ გოგონასთან დააკავშირა, რომელიც უკვე მესამე წელია, თერჯოლის რაიონშია გათხოვილი და საქართველოში ცხოვრობს.

**გვანცა ზუპიტაშვილი** ირანიდან არის, მონათლულია, როგორც მართლმადიდებელი ქართველი და თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრში, კლუბ „ფესვებში“ მოსწავლეებს სპარსულ ენას და ფერეიდნულ კულტურას ასწავლის.

„ემოციებით დატვირთული მივდივარ აქედან, რადგან გამორჩეულად სასიამოვნო გარემო დამხვდა. ბავშვებმა დამისვეს შეკითხვები, აინტერესებდათ ყველაფერი, როდის და რატომ გადმოვედი საქართველოში, რა განსხვავებაა ტრადიციებს შორის და ა.შ. ჩემი ოცნება იყო, რომ ქართულ მიწაზე მეცხოვრა, ჩემი შვილები აქ დასახლებულიყვნენ და ეს ოცნება ავიხდინე კიდეც. დღეს კი ამ ბავშვებს გავაცანი ჩემი წარსული და აწმყო. კმაყოფილი ვარ ამ შეხვედრით,“ — განაცხადა გვანცამ.

გაკვეთილს, სადაც მეოთხე კლასის პატარებმა სოფელი გააცოცხლეს,

„ნასახლარი“ ერქვა. მეოთხეკლასელი ბავშვები ლექსებითა თუ მხატვრული გამოთქმებით აცოცხლებდნენ სოფლის ცხოვრებას, ძირითადი აქცენტი კი სოფლებში, თუ ქალაქად გაჩენილ მრავალ ნასახლარსა თუ ნასოფლარზე იყო გაკეთებული. მათი დევიზი ასე ჟღერდა: „არ აქციოთ სახლი ნასახლარად, სოფელი – ნასოფლარად, ნუ მიატოვებთ მოხუცებს, რადგან ოდესღაც ჩვენც დავბერდებით.“ პატარებმა მაყურებლებს ერთ-ერთ ბებოსთან ჩაწერილი ინტერვიუც კი წარუდგინეს, სადაც ბებო თავის განცდებზე და წარსულში დარჩენილ უკეთეს ცხოვრებაზე საუბრობს. როგორც მათმა პედაგოგმა **მაკა ყიფიანმა** გვითხრა, ამ თემის იდეა, მისი ერთ-ერთი მოსწავლიდან წამოვიდა, რომელიც ძალიან წუხდა იმაზე, რომ მშობლებს ბებია-ბაბუასთან არ ჩაჰყავდათ და ისინი ძალიან ენატრებოდა.

„... და გადავრჩებით“ – ასეთი უცნაური და ორიგინალური სახელით გამოირჩეოდა 26-ე სკოლის მე-10, მე-11 კლასის მიერ წარმოდგენილი ღია გაკვეთილი. თუმცა სხვებისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში გაკვეთილის ფორმატში არ ჩატარებულა წარმოდგენა. მას უფრო თეატრალური დადგმის სახე ჰქონდა.

ბზის ფოთლებით შეკრული გულის ფორმის წრე, მასზე მოყოლებული ყვავილებით სავსე ერთნაირი ფიალები, ირგვლივ დანთებული სანთლები, ცენტრში – ორად გაყოფილი ადამიანის გულის გამომსახველი მუყაო, რომლის ნაწილებს შუა ეკლები დევს, ირგვლივ კი ბავშვები გაორებული სახეებით: შავ-თეთრი საღებავით – ყოველივე ეს მისტიური მუსიკის ფონზე საკმაოდ ამაღელვებლად ჩანდა.

ბავშვებმა ადამიანში ეშმაკისა და ანგელოზის ბრძოლა წარმოაჩინეს. თქვეს ლექსები, ბრძნული გამონათქვამები. აჩვენეს მსოფლიოს ახლო თუ შორეულ წარსულში მომხდარი ომები და მათი შედეგები. ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგის **თეა სინატაშვილის** თქმით, ასეთი უცნაური და ორიგინალური გაკვეთილის ჩატარების იდეა მაშინ დაიბადა, როდესაც კლასში „ოთარაანთ ქვრივი“ ახსნა. კერძოდ, როცა „ ხიდჩატეხილობის“ პრობლემის განხილვა მიმდინარეობდა.

„მე ბავშვებთან ერთად სრულიად კაცობრიობის ტკივილი განვაზოგადე. სიკეთე უკვე გვიკვირს და ბოროტებამ დაისადგურა ჩვენს გულებში. ჩვენი მთავარი მესიჯი არის, რომ „ყველა გზა სარწმუნოებასთან, უფალთან მიდის“. მინდა, რომ ჩემს ბავშვებს არამარტო ამ წუთებში, არამედ მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვეთ ის ემოციები, რაც დღეს გამოხატეს და აქ წარმოთქმული თითოეული ფრაზა გაითავისონ,“ — განაცხადა თეა სინატაშვილმა.

ღია კარის დღეს ქუთაისის რესურსცენტრის, ქალაქის მერიის და სხვადასხვა საჯარო სკოლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

როგორც 26-ე საჯარო სკოლის დირექტორმა **ვარდო უგლავამ** განაცხადა, მისი პედაგოგების მიერ ღია გაკვეთილისთვის შერჩეული თემები მისთვის სიურპრიზი იყო და არ იცოდა, რას გეგმავდნენ პედაგოგები თავიანთ ბავშვებთან ერთად, თუმცა, მათ პროფესიონალიზმში ეჭვი არ შეჰპარვია.

თავის მხრივ, პედაგოგებიც მადლიერებას გამოხატავდნენ ახალი დირექტორისადმი, რომელიც მათ თითოეულ წამოწყებას დადებითად ეხმიანება. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი, ვარდო უგლავამ აბსოლუტურად მიანდო მის პედაგოგებს ღონისძიების სადავეები და მათ ამით ძალიან დიდი ნდობა გამოუცხადა.

ქუთაისის 26-ე საჯარო სკოლა საიუბილეო წელს აღნიშნავს და არაერთ ღონისძიებას გეგმავს. რაც შეეხება ღია კარის დღეს, პედაგოგების და დირექტორის განცხადებით, არ არის გამორიცხული, უახლოეს მომავალში კიდევ ჩაატარონ მსგავსი და უკეთესი ღონისძიებები.

**ჟანა ჯანელიძე**
psnews.ge



# რა გელით 2015 წელს — საახალწლო წინასწარმეტყველება

**ყველა იმედით ვუყურებთ ახალი წლის დადგომას და ეს ასეც უნდა იყოს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მომავალი ჩვენს ხელთაა და არავინ ჩვენ მაგივრად არ განაგებს ჩვენს ბედს, მაინც გვჯერა, რომ უხილავი ძალა წინასწარ გვიმზადებს რაღაც განსაკუთრებულს.**

**გთავაზობთ ერთ-ერთ უძველეს საახალწლო წინასწარმეტყველებას, რომლის მიხედვითაც გაიგებთ, გელით თუ არა წარმატება ახალ, 2015 წელს.**

**დახუჭეთ თვალები, ბრმად დაადეთ ხელი მოცემულ ცხრილში რომელიმე ციფრზე. ახლა კი წაიკითხეთ ამ ციფრის გასწვრივ დაწერილი წინასწარმეტყველება?**

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 78 | 97 | 20 | 14 | 7 | 64 | 92 | 35 | 45 | 46 |
| 28 | 76 | 51 | 66 | 31 | 59 | 16 | 37 | 57 | 49 |
| 4 | 25 | 6 | 19 | 88 | 68 | 32 | 52 | 73 | 27 |
| 44 | 75 | 63 | 50 | 5 | 23 | 72 | 34 | 67 | 29 |
| 13 | 100 | 24 | 59 | 22 | 56 | 74 | 43 | 68 | 40 |
| 42 | 2 | 11 | 62 | 17 | 30 | 89 | 61 | 88 | 65 |
| 1 | 12 | 8 | 54 | 55 | 79 | 82 | 26 | 91 | 36 |
| 80 | 15 | 47 | 33 | 53 | 21 | 84 | 70 | 85 | 58 |
| 10 | 3 | 39 | 93 | 77 | 38 | 98 | 94 | 95 | 81 |
| 96 | 18 | 99 | 41 | 60 | 48 | 87 | 83 | 90 | 71 |

1. თქვენ წინაშეა სწორხაზოვანი გზა დასახული მიზნისკენ. ყველაფერი გამოგივათ, რაც ჩაიფიქრეთ.
2. საჭირო ადამიანების ან ბედნიერ და წარმატებულ მოვლენათა განვითარების წყალობით, საწადელს მიაღწევთ.
3. წინაღობები, რომლებიც ერთიმეორის მიყოლებით გაჩნდება, შეაბრკოლებენ თქვენი გეგმების განხორციელებას.
4. იდეების რეალიზება თქვენს მონდომებაზეა დამოკიდებული. თუ გეყოფათ მოთმინება, ბოლომდე მიჰყვეთ დასახულ გზას — წარმატება შესაძლებელია.
5. გაიღრმავეთ ცოდნა — ყველაზე მეტად ახლა ეს გჭირდებათ.
6. ნაბიჯ-ნაბიჯ მიდიხართ დასახული მიზნისკენ. „შორი გზა მოიარე, შინ მშვიდობით მიდიო" — მოცემულ მომენტში ეს გამოთქმა თქვენთვის არის.
7. დროებითი სირთულეები და გამოცდა გელით. შეინარჩუნეთ ღირსება და არ დაკარგოთ თვალსაწიერიდან მიზანი.
8. მოვლენები თქვენ სასიკეთოდ ვითარდება. სულ ოდნავი თქვენი მონდომებაა საჭირო, რათა ყველა, თუნდაც მცირედი დაბრკოლება გადალახოთ.
9. მოთმინება იქონიეთ და ყველა საწადელს მიაღწევთ. ამ შემთხვევაში სიჩქარე დაუშვებელია.
10. მხოლოდ საკუთარი თავის იმედი იქონიეთ. სხვისი დახმარება შესაძლოა „დათვური სამსახური" გამოდგეს.
11. მოგებული დარჩებით. სიურპრიზი იქნება თქვენთვის, რადგან ამას და ამ დროს არ მოელოდით.
12. სიფრთხილე გამოიჩინეთ, ნუ გადააჭარბებთ თქვენი ძალებისა და შესაძლებლობების შეფასებისას.
13. შესაძლოა, ძალების დაკარგვა და ნერვული დაძაბულობა იგრძნოთ. სურვილების ასრულება დროებით გადაიდება.
14. მშვიდად იყავით — ყველაფერი საჭირო დროს მოვა. მანამდე კი დაკავდით ყოფითი, ყოველდღიური საქმეებით.
15. ჯერჯერობით არ ღირს თქვენი გეგმების განხორციელების დაწყება. იძულებითი მარტოობა, ახლობლების ვერგაგება, თანამოაზრეების არყოფნა — ეს ყველაფერი დროებით თქვენი თანმდევი იქნება.
16. რაც და როცა მოგესურვებათ, ის აკეთეთ — ამის სრული უფლება გაქვთ. სპონტანური მოქმედებებისთვის შესაფერისი დროა.
17. ჩაუღრმავდით თქვენს გეგმებსა და მიზნებს — კიდევ ერთხელ კარგად გააანალიზეთ, გჭირდებათ კი ეს ყველაფერი?
18. ჩიხში მოქცევის რისკია. მშვიდად შეიცადეთ და ზურგის ქარიც დაუბერავს.
19. მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული წარმატება და ცხოვრების ახალ, მაღალ ეტაპზე გადასვლის შანსი. ცხოვრება გაძლევთ შანსს — მთავარია, ხელიდან არ გაუშვათ.
20. ჰარმონია ურთიერთობაში ადამიანებთან და სამყაროსთან. გაეცით სიკეთე — და უკან დაგიბრუნდებათ.
21. ცხოვრება გადაგიხაზავთ აქამდე დასახულ მიზნებს და ახალ, სულ სხვა ინტერესებსა და შესაძლებლობებს გამოგიწვდით.
22. გადააბიჯეთ თქვენს ეგოიზმს და ნუ ჩაიკეტებით საკუთარ თავში. ურთიერთთანამშრომლობა — უპირველეს ყოვლისა და იყავით დიპლომატიური და დამთმობი.
23. ყველაფერი ისე იქნება, როგორც თქვენ გსურთ და როგორც ჩაიფიქრეთ. წარმატება სარგებლობას მოგიტანთ როგორც თქვენ, ასევე მათ, ვინც თქვენ გვერდით არის.



24. იდეები, რომლებიც მხოლოდ თქვენს წარმოსახვაში არსებობდა, რეალურ შანსს მიიღებს, რათა განხორციელდეს.
25. შეუთავსებელი იქნება თქვენი გეგმები და მათი რეალიზაციის ხერხები. ხელახლა გააანალიზეთ მისწრაფებები და დაისახეთ მეტად წარმატებული გზები მათ განსახორციელებლად.
26. თქვენი ცხოვრება რაღაც პერიოდის განმავლობაში ოჯახის ინტერესებით იქნება შემოფარგლული. მშვიდად დაკავდით საოჯახო საქმეებით და ნუ ჩათვლით ამ დროს დაკარგულად. ოჯახის მიერ აღიარებული თქვენი ავტორიტეტი — არანაკლებ მნიშვნელოვანია.
27. დააგროვეთ გამოცდილება და ცოდნა იმისათვის, რომ წინ წაიწიოთ. შესაფერისი დროა, დაკავდეთ საკუთარი თავის სრულყოფით.
28. ახალი, ოპტიმისტური შეხედულება გარემოს მიმართ დაგაძლევინებთ დაბრკოლებებს.
29. წარმატებული ქმედებებისთვის საჭიროა დაალაგოთ მუდმივი კონტაქტები სხვა ადამიანებთან. თუ ძველი კავშირები აღარ მუშაობს, გააბით ახლები. ისწავლეთ მყარი საქმიანი და მეგობრული კავშირების შექმნა.
30. ადამიანებთან ტაქტიკური მიდგომა მაქსიმალურ წარმატებას მოგიტანთ.
31. ყველაზე რთულად შესასრულებელი ამოცანების რეალიზების დრო მოვიდა.
32. სასწრაფოდ უნდა მონახოთ კრიზისული სიტუაციიდან გამოსვლის გზა და გარდაქმნათ თქვენი ცხოვრება. დროთა განმავლობაში შფოთვა და ფორიაქი უკან დარჩება.
33. ამ პერიოდში მუხრუჭი საკუთარი თავისა და გარშემომყოფების მიმართ უნდობლობა იქნება. უმოქმედობის დროა.
34. იმისათვის, რომ განახორციელოთ თქვენი გეგმები, იმაზე მეტი ძალისხმევა დაგჭირდებათ, ვიდრე წარმოგედგინათ.
35. ძალიან ბევრი ურთიერთწინააღმდეგობაა. თუ მონოტონურად იმოქმედებთ მიზნის მიღწევისას, უკვე მიღწეულსაც დაკარგავთ.
36. თქვენმა თავბრუდამხვევმა წარმატებამ შესაძლოა გარშემომყოფების შური გამოიწვიოს, თუმცა ჭორების იქით საქმე არ წავა.
37. ყველა ხარჯი გააკონტროლეთ, თორემ ინანებთ ტყუილად გაფლანგული ფულის გამო.
38. სურვილს ინიციატივა, ნებისყოფა და დამოუკიდებლობა დაუმატეთ და ყველაფერი, სულ ყველაფერი აუცილებლად აგისრულდებათ.
39. თქვენთვის ძალიან საჭირო ინფორმაციას მიიღებთ, რომელსაც დიდი ხანია ელით.
40. თქვენი გეგმები განხორციელდება დახარჯული დროისა და ენერგიის პირდაპირპროპორციულად.
41. უნდა გამოიყენოთ შემოვლითი გზები და შეეცადოთ, არ დააჩქაროთ მოვლენები, თუ გსურთ, რომ ყველაფერი გამოგივიდეთ.
42. გაურკვევლობის პერიოდია. მოიფიქრეთ ქმედებების კონკრეტული გეგმა და ეცადეთ, არ გადაუხვიოთ გზას.
43. მსხვილი თანხის დახარჯვის ცდუნება გექნებათ. მიჰყევით საკუთარ ინსტინქტებს და არა სხვის რჩევებს.
44. უახლოეს მომავალში არ გელით განსაკუთრებული ვნებათაღელვები. ყველაფერი გარკვეული გექნებათ და ყველა გეგმა განხორციელებული.
45. დიდი სიხარულისა და სიურპრიზების დრო მოდის.
46. სურვილები აგისრულდებათ, თუკი მოკრძალებული იქნებით თქვენს მოთხოვნილებებში.
47. მოგზაურობა ან მივლინება თქვენს გეგმებში საჭირო კორექტივებს შეიტანს. სოციალურ კიბეზე სწრაფი აღმასვლის შანსი მოგეცემათ.
48. ყველაფერს მიიღებთ თქვენი მონდომების, შრომისმოყვარეობის, დისციპლინისა და ბედის წყალობით.
49. მიენდეთ ცხოვრებას, იცურეთ დინების მიმართულებით და მდინარე თავად მიგიყვანთ საჭირო ადგილას.
50. ის, რაც აქამდე გაეჭვებდათ და გაშინებდათ, ახლა სასიკეთოდ მოგიბრუნდებათ.
51. მოვლენები იმაზე სწრაფად განვითარდება, ვიდრე მოელით. შესაძლოა, ამან ცოტათი დაგაბნიოთ.
52. რეალობის თქვენეული აღქმა ცოტა მოძველებულია. ჯერჯერობით არ გაქვთ უნარი, დაინახოთ მოვლენების დაფარული მხარე.
53. მთელი რიგი მოულოდნელი სასიამოვნო მოვლენები გელით.
54. თქვენს ცხოვრებაში ახალი ადამიანები შემოიჭრებიან, რომლებიც ერთგულ მეგობრებად ან კოლეგებად იქცევიან.
55. ბედნიერი მოულოდნელობები და მატერიალური აღმასვლა გელით.
56. თქვენი შესაძლებლობები და შრომისმოყვარეობა სათანადოდ დაფასდება. მოსალოდნელია კარიერული აღმასვლა და მომგებიანი თანამშრომლობა.
57. იმდენი საზრუნავი გექნებათ, რომ პრაქტიკულად, სხვა რამისთვის დრო აღარ დაგრჩებათ.
58. ქაოსი, რომელიც თქვენში დაისადგურებს, ხელს შეგიშლით გეგმების განხორციელებაში.
59. გამოიჩინეთ მოთმინება და ამტანობა, რამეთუ ძველი ურთიერთწინააღმდეგობები მაღლა ამოტივტივდება.
60. ნუ გაუშვებთ მოცემულ შანსს თქვენი სისულელით ან საკუთარი ძალების მიმართ უნდობლობით.
61. აგისრულდებათ თუ არა სურვილები, მხოლოდ თქვენს თვითდისციპლინაზეა დამოკიდებული. ჩამოწერეთ ქმედებების გეგმა და მიჰყევით გრაფიკს.
62. შეხედეთ საკუთარ ცხოვრებას გვერდიდან — ამის წყალობით ბევრ რამეზე სწორი შეხედულება შეგექმნებათ.
63. შეიცვალეთ და თქვენ ირგვლივ სამყაროც შეიცვლება.
64. ზედმეტად დამოკიდებული იქნებით სხვა ადამიანებზე, განსაკუთრებით, მათზე, ვისაც თანამდებობა ან სხვა პრივილეგია აქვს.
65. ამაო იქნება ინტრიგებით, ცდუნებებით, ფუჭი საუბრებითა და კამათით გამოწვეული თქვენი შფოთვა და ღელვა.
66. მიენდეთ ბედს და ცხოვრების სვლას მისდიეთ. ნუ შეეწინააღმდეგებით დინებას.
67. ტყუილად ხარჯავთ ბევრ დროსა და ენერგიას. შეეცადეთ, სწორად მიმართოთ თქვენი აქტიურობა.
68. ორმხრივად განვითარდება მოვლენები. შეეცადეთ, სწორი ორიენტაცია გააკეთოთ.
69. არსებობს იმის მიზეზი, რომ დაფიქრდეთ, როგორი ადამიანები არიან თქვენ ირგვლივ. ყურადღებით იყავით საქმიანობისას და არავის მოუყვეთ თქვენი გეგმებისა და მიღწევების შესახებ.
70. ნუ ატყუებთ საკუთარ თავს: დარწმუნებული ხართ, რომ რაც ჩაიფიქრეთ, არავის მოუტანს ზიანს? თუ ამაში დარწმუნებული არ ხართ, შეცვალეთ მიზნები.
71. საუკეთესო დროა თქვენი ავტორიტეტის გასამყარებლად. შესაძლოა, მიიღოთ ჯილდო ან დიდი ფულადი პრემია.
72. თქვენს მიზნებს განხორციელება ნამდვილად უწერია, თუკი საკუთარ პასუხისმგებლობას სხვებს არ დააკისრებთ.
73. დიდი და პატარა გამარჯვებების ალბათობა არსებობს. სიამოვნებით შეიგრძნობთ გამარჯვების გემოს.
74. თქვენს ჩანაფიქრს ცოტა შანსი აქვს, ასრულდეს, რადგან სხვების სურვილებს ეწინააღმდეგება.
75. თქვენი საქმეები მარტივად და სწრაფად, თქვენი მხრიდან ზედმეტი ძალისხმევისა და დროის დახარჯვის გარეშე გადაწყდება.
76. ცვლილებები აუცილებლად შეარყევს ან სულაც გადაატრიალებს თქვენს ცხოვრებას. მოსალოდნელი მოვლენები ცხოვრების ახალ ეტაპზე გადასვლაში დაგეხმარებათ. შინაგანი წინააღმდეგობები მარტივად გადაილახება.
77. თქვენი საზრუნავი არ დაიკავებს დიდ ადგილს თქვენსავე ცხოვრებაში. გაგიჩნდებათ ახალი ჰობი და გექნებათ ახალი, საინტერესო ნაცნობობა.
78. მეტად მიენდეთ საკუთარი გულის კარნახს და ინტუიციას — ისინი სწორ გზას მიგასწავლიან დასახული მიზნისკენ.
79. ცხოვრებისეული გამოცდისა და დანაკარგის პერიოდი გექნებათ. მოიკრიბეთ ნებისყოფა და გაუძელით დამანგრეველ ქარიშხალს.
80. ძალიან სასიხარულო პერსპექტივები გელით. შთაგონებას იგრძნობთ და წარმატებაც არ დააყოვნებს.
81. სიტუაცია სტაბილური იქნება. სწორ გზას ადგახართ. მიიყვანეთ თქვენი გეგმების განხორციელება ბოლომდე და დაისახეთ ახლები.
82. თუკი თქვენი გონება და გული შეთანხმდებიან, ბევრს მიაღწევთ.
83. ხანდახან ბედი ცდის ხოლმე მათ, ვისაც ყოველთვის მფარველობდა. თქვენი დროც მოვიდა.
84. შეძლებთ მიიღოთ როგორც ერთჯერადი, ასევე გრძელვადიანი მოგება. თქვენი წარმატება მატერიალურ საქმეებშია.
85. ხელში აიყვანეთ თავი და ნუ მისცემთ ემოციებს უფლებას, მთლიანად მოგიცვათ — ეს არის მთავარი პირობა, წარმატებით დაასრულოთ თქვენი მიზნების განხორციელება.
86. თქვენ წინაშე აქამდე უხილავი და მიუწვდომელი, ახალი პერსპექტივები და ჰორიზონტები გაიშლება.
87. მარტივად და ზედმეტი ძალისხმევის გარეშე მიღწეული წარმატება გელით. შედეგით თავადაც გაოცდებით, მაგრამ ძალიან გაგახარებთ.
88. მტკიცედ, შეუპოვრად და ყოყმანის გარეშე იმოქმედეთ და უპირატესობა თქვენს მხარეზე იქნება.
89. ილუზიების სამყაროში ცხოვრობთ და ოცნებებში ოქროს კოშკებს აგებთ, მაგრამ ბედს არ ყოფნის მასალა, რათა ისინი სინამდვილეში ააგოს.
90. ნუ გავიწყდებათ, რომ თავისით არაფერი კარგი არ კეთდება. ასე რომ, დროა, ადგეთ დივნიდან/სკამიდან/სავარძლიდან და შექმნათ ეს კარგი საკუთარი ხელებით.
91. თუ ხან ერთს, ხან მეორეს ლაპარაკობთ, ხოლო მესამეს ფიქრობთ — ამისგან არაფერი გამოვა.
92. მოვლენები შეცდომაში შეგიყვანთ. გადაიტანეთ ყურადღება ცხოვრების ნათელი მხარეებისკენ.
93. წარმატება ნაკლებმოსალოდნელია, უახლოეს პერიოდში თქვენგან სიდინჯე, გამძლეობა და მოთმინება იქნება საჭირო.
94. სირთულეებს, რომლების გადალახვაც მოგიწევთ, სასიკეთო შედეგი ექნება.
95. მოგება გელით და ახალი, კარგი მატერიალური პერსპექტივები.
96. მეტი დრო უნდა გამონახოთ დასვენებისთვის. თავს უფლება მიეცით, დროებით დაივიწყოთ საქმეები. ეს დაგეხმარებათ, მოიპოვოთ სულიერი სიმშვიდე და დაისუფთაოთ აზრები.
97. რაღაც პერიოდის განმავლობაში თქვენი სურვილები და მიზნები თქვენში ინტერესს დაკარგავს და მოგეცემათ ახალი შემოქმედებითი ზრდის შესაძლებლობები.
98. წარმატება ერთობლივი ძალისხმევით მიიღწევა. ამიტომაც ისწავლეთ დიპლომატიურობა და ტაქტიკურობა.
99. მოულოდნელი მოვლენები ხელს შეუშლის ამ ეტაპზე დასახული მიზნების განხორციელებას.
100. ბედი, ხვედრი, ღვთის ნება. რაღაც მიზეზებით თქვენთვის ინფორმაცია დახურულია.

# როგორი იქნება ლურჯი თხის წელიწადი ზოდიაქოს ნიშნებისთვის

### ვერძი

ვერძებს 2015 წელს ბევრი მუშაობა მოუწევთ, თუმცა მათი ძალისხმევა სამსახურში დაწინაურებით და მათი დამსახურების დაფასებით დაჯილდოვდება. ნუ დამალავთ თქვენს ამბიციებს, მაგრამ ნურც გარშემომყოფების თქვენი ნებისთვის დამორჩილებას მოინდომებთ, რადგან მათი მხრიდან დიდ წინააღმდეგობას გადააწყდებით. იმუშავეთ საკუთარ თავზე, ისწრაფეთ სრულყოფილებისკენ და ახალი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეძენის შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ. 2015 წელს თქვენ მოქნილობისა და ლოიალობის სწავლაც მოგიწევთ. გამოიჩინეთ ეშმაკობა და ყველაფრის შუბლით გატანას ნუ შეეცდებით. პირად ცხოვრებაში შესაძლოა, ცვლილებები მოხდეს. ღირსშესანიშნავი მოვლენები წლის მეორე ნახევარში, ზაფხულის შემდეგ მოხდება, თანაც შესაძლოა, ერდროულად პირად და საქმიან ცხოვრებაში. გარდა ამისა თქვენ გრანდიოზული საჩუქარი ან ძალიან მსხვილი და მოულოდნელი მოგება გელით.

### კურო

კუროებისთვის საკმაოდ რთული წელი დგება, რადგან მათ ცხოვრების ჩვეული წესიდან გადახვევა და საკუთარი თავის ახალ სფეროში გამოცდა მოუხდებათ. სტაბილურობამ, რომელშიც კუროები მთელი 2014 წელი ცხოვრობდნენ, ისინი ცოტა მოშვებულები გახადა, ლურჯი თხა კი კუროებს ენერგიულ მოქმედებას აიძულებს. შეიძლება ხელმძღვანელობას ან თქვენს დაქვემდებარებულებს დაუპირისპირდეთ, ხოლო ინტერესების სხვაობისა და სურვილებისა და ვალდებულებების შეუსაბამობის მიზეზით წარმოქმნილი შინაგანი კონფლიქტის გამო პრობლემები ოჯახშიც შეგექმნათ. ნუ იქნებით ძალიან ჯიუტი. მარტოხელა კუროები პირადი ცხოვრების აწყობას შეეცდებიან და მათი ძალისხმევა ამაო რომ არ იყოს, ამისთვის მცირედით კმაყოფილების მიღწევა უნდა ისწავლონ. ნუ დაუწყებთ ძებნას პრინცს ან პრინცესას, მიიხედ-მოიხედეთ ირგვლივ, ბედნიერებას სწორედ მათ შორის აღმოაჩენთ, ვისაც დიდი ხანია იცნობდით.

### ტყუპები

ტყუპები 2015 წელს შესანიშნავად იგრძნობენ თავს, რადგან თავიანთი თანდაყოლილი არტისტიზმისა და მჭევრმეტყველების გამოყენებას მაქსიმალურად ეფექტურად შეძლებენ. თქვენ იოლად დაარწმუნებთ გარშემომყოფებს თქვენს განსაკუთრებულობასა და შეუცვლელობაში და ამით სოციალური თუ კარიერული კიბის უფრო მაღალ საფეხურზე ასვლასაც მოახერხებთ. 2015 წელს მოგიწევთ ისწავლოთ, როგორ მიუტევოთ ადამიანებს წყენა, საწინააღმდეგო შემთხვევაში თქვენი უადგილო შურისძიება დიდი ხნის შრომით მოპოვებული კეთილგანწყობის დაკარგვას გამოიწვევს. ამის დაშვება კი არ შეიძლება, რადგან 2015 წელს თქვენს მომავალ სტაბილურ კეთილდღეობას ეყრება საფუძველი. ამ წელს გამოჩენილ სიბრძნესა და მახვილგონიერებაზე იქნება დამოკიდებული თქვენი წარმატება მომავალი წლების განმავლობაში. თუ მეორე ნახევარი კიდევ არ გიპოვიათ, მომავალ საყვარელ ადამიანს შესაძლოა ხალხმრავალ გასართობ ღონისძიებაზე ან დასასვენებლად ყოფნის დროს გადააწყდეთ.

### კირჩხიბი

კირჩხიბებს მზის ქვეშ ადგილის მოსაპოვებლად 2015 წელს ბევრი შრომა დაჭირდებათ. დაივიწყეთ თქვენი ინფანტილურობა, ნურავის დაუთმოთ იმას, რაც თქვენ გეკუთვნით ან აუცილებელი მანიპულაციების შემდეგ შეიძლება თქვენი საკუთრება გახდეს.

გამოძვერით „ბუნაგიდან“ და დაიწყეთ ადამიანებთან ურთიერთობა — 2015 წელს კავშირები და ნაცნობობა უზარმაზარ სარგებელს მოგიტანთ. ამ წელს გეძლევათ „ოქროს მარაგის“ შექმნის შანსი, რომელიც სიმშვიდეს მოგანიჭებთ, რადგან ფინანსურად დაცულად იგრძნობთ თავს. დახვეწილი პრომოუშენი და საზოგადოებაში პოზიციონირება თქვენს კარიერას ძალიან წაადგება.

ოჯახში სტაბილურობის პერიოდი დაგიდგებათ, თუ თქვენი მეუღლე რომელიმე ცეცხლოვანი ნიშნის წარმომადგენელი არ არის — ამ შემთხვევაში სკანდალები და ურთიერთობების მეტად „ხმამაღლა“ რკვევა გელოდებათ. თუ ჯერჯერობით თავისუფალი ხართ, 2015 წელს სოციალური სტატუსის შეცვლის იმედი ნუ გექნებათ. შესაძლოა, თქვენი პირადი ცხოვრება მცირე რომანებით გამრავალფეროვნდეს, მაგრამ ამაზე შორს არ წავა.

### ლომი

ლომებს 2015 წელი პირად ცხოვრებაში მხოლოდ იმედგაცრუებებს მოუტანს, რადგან მათ საწინააღმდეგო სქესთან ურთიერთობაში მრავალფეროვნება არ დააკმაყოფილებთ. სასიყვარულო პრობლემებს კი ლომები მატერიალურ საკითხებში წარმატებით აინაზღაურებენ. ყველა ახალ პროექტს, რასაც საქმიანი პარტნიორები ან ხელმძღვანელობა მოგაწვდით, კბილებით უნდა ჩაეჭიდოთ. ბევრი მუშაობით სულიერ წონასწორობასაც შეინარჩუნებთ და აქამდე თითქოსდა მიუწვდომელ სიმაღლეებსაც მიაღწევთ, მხოლოდ გადამწყვეტ მომენტში ხელი არ უნდა ჩაიქნიოთ და არ გადაწყვიტოთ, რომ ეს ყველაფერი ამაოა. 2015 წელს დასვენების დრო არ არის! უფრო მეტიც, არაერთხელ მოგიწევთ საკუთარი პოზიციის დაცვა, რათა გარშემომყოფებმა არ გადაწყვიტონ, რომ იოლი საკბილო ხართ. ნუ მოერიდებით მბრძანებლობის გამოვლინებას და იმ ფაქტის დემონსტრირებას, რომ თქვენი ავტორიტეტული ცოდნა აღიარებას იმსახურებს. ბრძოლაში ჩაბმის ნუ შეგეშინდებათ — დაპირისპირებიდან აუცილებლად გამარჯვებული გამოხვალთ. შევაჭრებასაც არ მოერიდოთ, მართალია, ეს არაა მეფური საქმე, მაგრამ თუ საუბარი ხელფასის მომატებას თუ ვინმესგან ლგოტური პირობების „ხელიდან გამოგლეჯას“ ეხება, არაფერი უჭირს, ეს გვირგვინს არ დაგაკარგვინებთ.



### ქალწული

2015 წელს ქალწულებს გრანდიოზული წარმატებები ელით, თუ ცვლილებების წინაშე შიშს გადალახავენ. მთავარია, ცხოვრების რადიკალურად შეცვლის შანსი ხელიდან არ გაუშვათ. თამამად დაიწყეთ პატივმოყვარული გეგმების დაწყობა, თუმცა მათი რეალობაში განხორციელება არ უნდა გააჭიანუროთ. ბევრი ახალი შეხვედრა გელით, რომელთაგანაც რამდენიმე საბედისწეროც კი შეიძლება აღმოჩნდეს. და მართალია, თქვენ ერთი ნახვით შეყვარება არ გჩვევიათ, ერთ-ერთმა ადამიანმა ეს შეიძლება დაგავიწყოთ. გასულ წლებში თქვენს მატერიალურ კეთილდღეობას მტკიცე საფუძველი ჩაუყარეთ, 2015 წელს კი მიღწეული წარმატებებით არ უნდა დაკმაყოფილდეთ და შედეგები უნდა გააუმჯობესოთ, თუნდაც ამისთვის სამსახურის შეცვლა დაგჭირდეთ. დაუფიქრებლად ნუ იტყვით უარს მომხიბლავ წინადადებებზე. თუ იმიჯის შეცვლა დაგჭირდებათ, თავს ნუ შეიკავებთ, ასე ახალ სიტუაციას უფრო იოლად მოერგებით. ეცადეთ, იმდენად გამორჩეული გახდეთ, რამდენადაც ამას საკუთარ თავთან ჰარმონიაში დარჩენის პირობა მოგცემთ.

### სასწორი

სასწორებისთვის 2015 წელი საქმიან პარტნიორებთან ან მეორე ნახევართან ურთიერთობაში ჰარმონიის მიღწევით დაიწყება. ფინანსურ სფეროში წარმოქმნილი პრობლემების დაძლევაში სწორედ სულიერი კომფორტის შეგრძნება დაგეხმარებათ. თქვენ უბრალოდ გადაანაცვლებთ აქცენტებს, რაც საშუალებას მოგცემთ სიტუაციიდან, აქამდე ჩიხურად რომ მიიჩნევდით, არატრივიალური გამოსავალი მოძებნოთ. გამოიყენეთ თქვენი დახვეწილი გემოვნება, მოუძებნეთ ოპონენტებს მათი სუსტი წერტილები და აიძულეთ ისინი თქვენთვის მისაღებ გადაწყვეტილებამდე მივიდნენ. თუ დარწმუნებული არ ხართ, რომ საქმიანობის სფერო სწორად შეარჩიეთ და მისი შეცვლა გინდათ, თავი ვაჭრობაში მოსინჯეთ — ეს შესაძლოა, თქვენი ენერგიის გამოყენებისთვის შესაფერისი სფერო აღმოჩნდეს. ახალი საქმიანობისთვის ხელოვნების ნიმუშებისა და საიუველირო სამკაულების ნიშები შეარჩიეთ. თუ მარტოხელა ხართ, 2015 წელს შეიძლება პირადი ბედნიერებაც მოიპოვოთ. ყურადღება მიაქციეთ გამორჩეულ და ძლიერ ადამიანებს — მათ თქვენს ცხოვრებაში საიმედო დასაყრდენის როლი შეიძლება შეასრულონ.

### მორიელი

მორიელებისთვის 2015 წელიწადი ცხოვრების ყველა სფეროში აქტიურობის დროა. თვალსაზრისს ხშირად შეიცვლით, თუმცა საკუთარი სურვილით და საღი აზრით და არა სხვათა გავლენით. ხშირად გექნებათ დროის უკმარისობის შეგრძნება, რადგან თქვენი ყველა იდეა დაუყოვნებლივ განხორციელებას მოითხოვს. სასიყვარულო და სექსუალური თვალსაზრისითაც 2015 წელი მჩქეფარე იქნება. საკუთარ თავს ყველაფრის უფლება შეგიძლიათ მისცეთ, რადგან სიტუაციის განმსაზღვრელი თავად ბრძანდებით. თქვენი ინტუიცია მოწოდების სიმაღლეზე იქნება, რაც უსიამოვნო სიტუაციების თავიდან არიდების საშუალებას მოგცემთ. გარშემომყოფებზე გავლენის მოხდენის კიდევ ერთი მძლავრი იარაღი თქვენს ხელთ აღმოჩნდება — ეს წლის დასაწყისში მიღებული გამოცდილება ან ფარული მანიპულირების მეთოდის შესწავლაა, რასაც 2015 წელს განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეკიდოთ.

### მშვილდოსანი

მშვილდოსნებისთვის 2015 წელი წარმატებული, მნიშვნელოვანი მოვლენებით და საინტერესო ურთიერთობებით გაჯერებული იქნება. მთლიანობაში, ეს წელიწადი თქვენს შინაგან მსოფლშეგრძნებას ეხმიანება და ამის წყალობით გეძლევათ შანსი, რომ ყველაფერი აქამდე მიუღწეველი და სასურველი თქვენს ხელთ აღმოჩნდეს. იოლად შეძლებთ გარშემომყოფები თქვენი იდეებით დააინტერესოთ. ნურც სხვათა რჩევებზე იტყვით უარს, წლის დასაწყისში ნაკარნახებმა აზრმა მთელი თქვენი მომავალი შეიძლება განსაზღვროს. თქვენი მჩქეფარე ენთუზიაზმი სრული 100%-ით გამართლდება, თუმცა საეჭვო ავანტიურებში ნუ გაერევით — თუ ხელს რაიმე უკანონოს და უსამართლოს მოკიდებთ, ლურჯი თხა თქვენი დაცვისგან თავს შეიკავებს. თქვენ საკმაოზე ბევრი იდეა გაქვთ, რაც რეალობაშიც ნაყოფიერი აღმოჩნდება, ამიტომ ილუზიებზე და ქარის წისქვილებთან ბრძოლაში დროს ნუ დახარჯავთ. გარშემომყოფები თქვენს სამართლიანობის გრძნობას ენდობიან, ამიტომ ამა თუ იმ მოვლენის შეფასებისას ობიექტურობა შეინარჩუნოთ თუ სიყვარული აქამდე არ გწვევიათ, 2015 წლის შუა პერიოდში თქვენი მეორე ნახევრის პოვნის შანსი მოგეცემათ. ეძებეთ იგი თანამოაზრეებსა ან კოლეგებს შორის — რაც მეტი გექნებათ საერთო, თუნდაც მატერიალური თვალსაზრისით, მით უფრო იოლად შეძლებთ ჰარმონიული კავშირის დამყარებას.

### თხის რქა

თხის რქებისთვის 2015 აღმავლობის წელია. აქამდე მიუღწეველი მწვერვალები, კარიერასა თუ პირად ცხოვრებაში, უკვე იოლი დასაპყრობი აღმოჩნდება. ბოლოს და ბოლოს, მოახერხებთ ურთიერთობის მოწესრიგებას ადამიანთან, ვის მიმართაც დიდი ხნის განმავლობაში გაუზიარებელ გრძნობებს განიცდიდით და საოცნებო თანამდებობაზე ან კომპანიაში დაიწყებთ მუშაობას. თუმცა უნდა იჩქაროთ, თუ საჭირო მონდომებასა და დაჟინებას არ გამოიჩენთ, თქვენს ადგილს სხვა დაიკავებს. გრძელვადიანი გეგმების დაწყობას და სტრატეგიების შემუშავებას თავი დაანებეთ და პირდაპირ იმოქმედეთ. 2015 წელი საინტერესო და ნაყოფიერ თანამშრომლობას გპირდებათ როგორც საქმიან, ისე პირად ცხოვრებაში, მხოლოდ არა სიყვარულის, არამედ მეგობრობის მიმართულებით. კონტრაქტების ხელმოწერა, მოკავშირეების შეძენა, პარტნიორებთან ერთად ერთობლივი პროექტების განხორციელება — ამ ყველაფერს უამრავი დრო დაჭირდება და მართალია, კარგ შედეგებსაც მოგიტანთ, მაგრამ აუცილებლად უნდა მიაქციოთ ყურადღება ჯანმრთელობას, რადგან საქმიან და პირად ცხოვრებაში ჩაფლულს შეიძლება რაიმე სერიოზული დაავადება გამოგეპაროთ. და ბოლოს, როგორც არ უნდა გეჩქარებოდეთ სასურველ სიმაღლეზე ასვლა, დასვენების აუცილებლობის შესახებ ნუ დაივიწყებთ.

### მერწყული

მერწყულებს 2015 წლის წარმატებულად ქცევისთვის ყველა დაუსრულებელი საქმის ჩამთავრება და კონფლიქტებისგან გათავისუფლება ჭირდებათ. საბოლოოდ უნდა დაშორდნენ ადამიანებს, რომლებიც მათ წინსვლის საშუალებას უსპობენ, ემოციურად აბრკოლებენ და სამაგიეროდ არაფერს აძლევენ. თუ 2014 წლის ბოლოსთვის ან 2015 წლის პირველ თვეებში ამ ყველაფრისგან გათავისუფლებას მოახერხებთ, თქვენი კარიერა წინ წავა და პირად ცხოვრებაშიც პროგრესი დაფიქსირდება. ლურჯი თხის წელი გახდება საფეხური, რომლის მეშვეობითაც თქვენი სულიერი კომფორტისა და წონასწორობისთვის აუცილებელი სტატუსის მიღწევას შეძლებთ. ნუ იქნებით ინერტული და ნუ დაკმაყოფილდებით იმით, რაც ახლა გაქვთ. ყველას, ვისზეც ასე თუ ისე თქვენი ბედია დამოკიდებული, საკუთარი თავი და თქვენი წარსული დამსახურებები და მიღწევები გაახსენეთ. ისწავლეთ ინტრიგების ხლართვა, შესაძლოა, ეს წლის მეორე ნახევარში შურიანი მეტოქეების წინააღმდეგ ბრძოლაში გამოგადგეთ.

### თევზები

2015 წელი თევზებისთვის საკუთარი თავის შეცნობის წლად შეიძლება იქცეს. პირველ ადგილზე ემოციური სფერო დადგება, თქვენ პირად ბედნიერებას მოიპოვებთ და იმაშიც გაერკვევით, სინამდვილეში რა გჭირდებათ. ამასთან, მარტო სიყვარულზე არ ჩაიციკლებით, პირიქით, ღია გახდებით სამყაროსთვის და იმ სიკეთეების მისაღებად, რაც დიდი ხანია, დამსახურებული გაქვთ, თუმცა თავად ასე არ მიიჩნევდით. ლურჯი თხის წელი წარმატებული იქნება, თუ გარშემომყოფებს თქვენი ღირსებების შესაბამისად დაფასების საშუალებას მისცემთ და კუთხეში არ დაიმალებით. მოიშორეთ ზედმეტი სიმორცხვე, იფიქრეთ საკუთარ თავზე და არა მხოლოდ მათზე, ვინც თქვენი პასუხისმგებლობის ქვეშაა, შეიყვარეთ საკუთარი თავი ყველა ნაკლითა და ღირსებითურთ.

posts.ge

## ვინ არის ფოტოზე?

**პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე**

პარლამენტარი **გივი თარგამაძე** პირველად **ლუიზა ლაკერბაიამ** ამოიცნო, შემდეგ სულიკო ფუტკარაძემ.



**რას დაარქმევდით?**



თამარ ბერუჩაშვილი

გაუგებრობიდან დიდ გაგებაში დაბრუნებული...

**მაია გიორგაძე**







PSnews.ge

# 2015

qimerioni.ge

| | იანვარი | თებერვალი | მარტი | აპრილი | მაისი | ივნისი |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორშ | 5 12 19 26 | 2 9 16 23 | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 |
| სამ | 6 13 20 27 | 3 10 17 24 | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 5 12 19 26 | 2 9 16 23 30 |
| ოთხ | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 | 6 13 20 27 | 3 10 17 24 |
| ხუთ | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | 5 12 19 26 | 2 9 16 23 30 | 7 14 21 28 | 4 11 18 25 |
| პარ | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 6 13 20 27 | 3 10 17 24 | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 |
| შაბ | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 |
| კვ | 4 11 18 25 | 1 8 15 22 | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 |

| | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორშ | 6 13 20 27 | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 5 12 19 26 | 2 9 16 23 30 | 7 14 21 28 |
| სამ | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 | 6 13 20 27 | 3 10 17 24 | 1 8 15 22 29 |
| ოთხ | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | 2 9 16 23 30 | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | 2 9 16 23 30 |
| ხუთ | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 3 10 17 24 | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | 3 10 17 24 31 |
| პარ | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 4 11 18 25 |
| შაბ | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 5 12 19 26 |
| კვ | 5 12 19 26 | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 | 6 13 20 27 |